



№ 04/05-97

16 თებერვალი 2009

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
მინისტრის ბატონ გოგა ხაჩიძეს**

ბატონო გოგა,

როგორც მოგეხსენებათ, ამა წლის 9 თებერვალს გაიმართა სასტუმრო "სიმპათიაში", გაიმართა ტყითსარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიის მფლობელების მიერ წარმოდგენილი ტყითსარგებლობის გეგმების პროექტების განხილვა. უპირველეს ყოვლისა გვინდა მადლობა გადავუხადოთ სატყეო დეპარტამენტს შეხვედრის ორგანიზებისათვის. მიგვაჩნია, რომ ამგვარი შეხვედრები დადებით როლს ითამაშებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში.

განხილვამ ნათლად დაგვანახა, რომ არასამთავრობო და სამეცნიერო ორგანიზაციების, სატყეო დეპარტამენტის, სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები იძლევიან მყარ საფუძველს იმისა, რომ განსახილველად წარმოდგენილ დოკუმენტებზე გაიცეს უარყოფითი დასკვნა და გადასამუშავებლად დაუბრუნდეს ლიცენზიანტებს, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 26 სექტემბრის N672 ბრძანების „ტყით სარგებლობის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ დასკვნაში სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების სამართლიან შენიშვნებთან ერთად, სრულად აისახება სალიცენზიო პირობებთან, ტექნიკურ დავალებასთან და მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ყველა ფაქტი, ხოლო დასკვნას შენიშვნებთან ერთად თანდართული ექნება შეხვედრის ოქმი.

ამჯერად, თქვენი ყურადღება გვინდა მივაპყროთ შემდეგ გარემოებებს:

განსახილველი დოკუმენტების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შემდგომ, მოთხოვნისამებრ მივაწოდეთ ჩვენი შენიშვნები სატყეო დეპარტამენტს; შენიშვნებთან ერთად მოვითხოვეთ ზოგიერთი საკითხის დაზუსტება. განხილვისა და დისკუსიის დროს აღმოჩნდა, რომ ლიცენზიანტებს არ აქვთ შესრულებული მთელი რიგი სალიცენზიო პირობები, რომელიც მოცემულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილების „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულებაში, კერძოდ:

1. ლიცენზიანტებს დღემდე არ წარმოდგენიათ ლიცენზიის პირობების შესრულების შესახებ ანგარიში (იხ. დანართში ანგარიშის წარმოდგენის ვადის შესახებ).
2. არ გადაუბარებიათ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსაგან ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორია და მასზე არსებული მერქნული რესურსი მიღება-ჩაბარების აქტით. აღნიშნული უნდა განხორციელებულიყო ლიცენზიის მიღებიდან 1 თვის ვადაში. ამ გადაბარების განუხორციელებლობის მიზეზად დასახელდა ის გარემოება, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ აქამდე არ შეიმუშავა მიღება-ჩაბარების განხორციელების წესი და ფორმა და არ დაამტკიცა შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. არ სრულდება სალიცენზიო პირობა, რომელიც ავალდებულებს ლიცენზიანტს, დაიცვას ლიცენზიით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია;

როგორც წარმოდგენილი ტყით სარგებლობის გეგმების განხილვამ აჩვენა, მათში არ არის ჩადებული არანაირი ღონისძიება ტყის დაცვასთან დაკავშირებით (მხოლოდ თემატურ რუკაზე ტერიტორიის სარეინჯერობად დაყოფა). ლიცენზიანტებმა აღიარეს, რომ ტყის ფიზიკური დაცვის (უკანონო ჭრებისაგან დაცვის) ღონისძიებები აქამდე არ განუხორციელებიათ და არც ამ ეტაპზე გააჩნიათ ცხადი პოზიცია, თუ როგორ დაიცავენ მომავალში მათზე ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიასა და რესურსებს. ლიცენზიის აღებიდან გავიდა 1 წელი და 9 თვე და ლიცენზიის მფლობელებს არანაირი ღონისძიება არ განუხორციელებიათ უკანონო ჭრებისგან ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დასაცავად. ფორმალურ მიზეზად კვლავ იგივე ფაქტი დასახელდა, რომ არ განხორციელებულა მიღება-ჩაბარების პროცედურა. აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს გამამართლებელ მიზეზად იმისა, რომ ფიზიკური დაცვის გარეშე დარჩენილი ათიათასობით ჰექტარი სახელმწიფო ტყის ფონდი. როგორც ჩანს, მიზანმიმართულად არ მოხდა ამ გადაცემის წესის შემუშავება, რასაც ითხოვს „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულება. ასევე დღემდე არ სრულდება შემდეგი სალიცენზიო პირობები: „**ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელება; უზრუნველყოს მაღალი ბუნებისდაცვითი (კონსერვაციული) ღირებულების ტყეების დაცვა; უზრუნველყოს ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება**”.

ბატონო, გოგა, როგორც მოგეხენებათ, მწვანე ალტერნატივამ გაასაჩივრა „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტზე“ და „საქართველოს ხე-ტყის გადამამუშავებელ კორპორაციაზე“ გაცემული ლიცენზიების გაცემის შესახებ ბრძანებები თბილისის საქალაქო სასამართლოში, ვინაიდან მიიჩნია, რომ ამ პროცესში ადგილი ჰქონდა ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევებს რაც საფრთხეს უქმნდა ტყის ეკოსისტემებს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, მოგვიანებით კი პროცესში მხარედ ჩაბმული ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, თავიანთ შესაგებლებში აღნიშნავენ, რომ ჩვენი ეს პოზიცია უსაფუძვლოა, ვინაიდან ლიცენზიანტებს სალიცენზიო პირობების თანახმად „ევალეზაბათ შეიმუშაონ მართვის გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებებს, ტყის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებებს, ხე-ტყის დამზადების უბნების რეგითობას და ვადებს, ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებებს, ტყის გენეტიკური რესურსების სახეობებისა და ეკოსისტემების დაცვის ღონისძიებებს, ტყის ზრდის დინამიურობაზე მონიტორინგს, ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე მიწის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებებს. ამასთანვე ლიცენზიანტმა მაქსიმალურად უნდა დაიცვას ტყის ეკოლოგიური მდგომარეობა და ტყის სხვა რესურსები დაზიანებისაგან და ა.შ.“ (სტილი დაცულია).

სასამართლოზე ლიცენზიანტები დაეთანხმნენ ამ შესაგებელს, თუმცა როგორც ვნახეთ, წარმოდგენილ ტყით სარგებლობის გეგმებში, არ არის ჩადებული ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია. ამასთანვე, განხილვაზე იგივე ლიცენზიანტები აღნიშნავენ, რომ არ თვლიან სავალდებულოდ ტყით სარგებლობის გეგმაში ისეთი საკითხების ჩადებას, როგორცაა მაგალითად, დაცვის ღონისძიებები, ხე-ტყის დამზადების უბნების დამზადების რეგითობა და სხვ. იმედა, სამინისტრო ამჯერად მინც გამოიჩინოს პრინციპულობას და არ დახუჭავს თვალს ასეთ აშკარა კანონდარღვევებზე.

2008 წლის 13 თებერვალს საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გაიმართა ჩვენი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა, რომლითაც დავაყენეთ 2008 წლის 7 და 8 ოქტომბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული ტყითსარგებლობის აუქციონის შედეგად გამოცემული ბრძანებების ბათილად ცნობის საკითხი. შესაგებელში ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კვლავ განაცხადა, რომ სალიცენზიო პირობების თანახმად, ლიცენზიანტი ვალდებულია შეიმუშაოს ტყის მართვის გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვის ღონისძიებებს.

4. არ არის შესრულებული სალიცენზიო პირობა „ტყით სარგებლობის გეგმასთან ერთად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარადგინოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში აკრედიტებული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი ეკოაუდიტორული დასკვნა. ეკოაუდიტორულ დასკვნაში, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა აისახოს ტყით სარგებლობის გეგმის შესაბამისობა მდგრად მეტყვეობის პრინციპებსა და სატყეო სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან“;

შეხვედრაზე ითქვა, რომ ლიცენზიანტებს წარმოდგენილი აქვთ მხოლოდ შუალედური ეკოაუდიტორული დასკვნები, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ლიცენზიის პირობის შესრულებად. ამასთანავე, როგორც ლიცენზიის მფლობელებმა, ისე კონსულტანტებმა განმარტეს, რომ ტყით სარგებლობის გეგმა მხოლოდ ქართულ ენაზე არსებობს, ხოლო წარმოდგენილი ე.წ. „შუალედური დასკვნები“ - მხოლოდ ინგლისურ ენაზე. ეს გარემოება მიუთითებს, რომ არანაირ „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში აკრედიტებული ორგანიზაციას“ არ წაუკითხავს ტყით სარგებლობის გეგმების პროექტები და შესაბამისად, ვერც ვერანაირ დასკვნას ვერ შეადგენდა.

5. შეხვედრაზე სატყეო დეპარტამენტის მიერ გაკეთებული ზეპირი ინფორმაციისა და წერილობითი დასკვნის საფუძველზე გაირკვა, რომ ლიცენზიანტების მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის (ტყეთმოწყობის) მასალების სისწორე არაფრით არ დასტუდება (სისწორის გადამოწმება შეუძლებელია) - არ განხორციელებულა ტყეთმოწყობის ნატურაში გადაბარება სატყეო დეპარტამენტის მიერ, არ არის წარმოდგენილი სრული ინფორმაცია (გეომონაცემთა ბაზა, სპეციალური პროგრამა, მეთოდოლოგია და ა.შ.); წარმოდგენილი თემატური რუკები არ შეესაბამება სავლეთ პირობებისათვის განკუთვნილ მასალას. ამდენად, **არ არის შესრულებული სალიცენზიო პირობა, რომლითაც ევალუოდათ დეტალური ინვენტარიზაციის ჩატარება**, მიუხედავად იმისა, რომ ლიცენზიის მიღებიდან გასულია 1 წელი და 9 თვე (კანონმდებლობის მიხედვით, ეს უნდა განხორციელებულიყო ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 9 თვის ვადაში). ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ უარყოფითი დასკვნისა და გადასამუშავებლად დაბრუნების შემდგომ, ტყითსარგებლობის გეგმების ხელახალ განხილვას აზრი აქვს მხოლოდ სატყეო დეპარტამენტის მიერ ლიცენზიანტების მიერ წარმოდგენილი მასალების სისწორის დადასტურების შემთხვევაში, დოკუმენტური და სავლეთ გადამოწმების შედეგად.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ტყით სარგებლობის გეგმების ავ-კარგის შესახებ მსჯელობის გაგრძელებამდე **უნდა დადგეს სალიცენზიო პირობების შესრულებლობის გამო ამ ლიცენზიების გაუქმების საკითხი.**

აქვე მოგახსენებთ, რომ 2008 წლის 8 სექტემბერს ჩვენ მივმართეთ სამინისტროს № 04/05-76 წერილით, სადაც ვასაბუთებდით, რომ ლიცენზიის მფლობელებმა დაარღვიეს სალიცენზიო პირობები, რის მიუხედავადაც, არ დასმულა მათი პასუხისმგებლობის საკითხი და უფრო მეტიც, გაუგრძლდათ ერთ-ერთი პირობის შესრულების - ტყით სარგებლობის გეგმების წარმოდგენის ვადა (იხ. დანართი - წერილის ასლი). ჩვენ ვითხოვეთ სამინისტროს განმარტება/ინფორმაცია, თუ რა მიზეზებით არ მოხდა რეაგირება სალიცენზიო პირობების შესრულებლობაზე და რატომ მოხდა ამ ვითარებაში ერთ-ერთი პირობის (ტყით სარგებლობის გეგმის მომზადება, რომელიც უნდა განხორციელებულიყო 2008 წლის 4 მარტამდე) შესრულების ვადის გაგრძელება 2009 წლის 1 იანვრამდე. ასევე ვითხოვეთ შესწავლილიყო იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც არ მოახდინეს სათანადო რეაგირება სალიცენზიო პირობების შესრულებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ვითხოვეთ ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ, ამ წერილთან დაკავშირებით სამინისტრო არ გამოგვხმაურებია. ჩვენთვის უცნობია, მიეცა თუ რა მსვლელობა ამ საკითხს და მიმდინარეობს თუ არა სამსახურეობრივი მოკვლევა.

ამასთანავე გვინდა გაცნობოთ, რომ ზემოთ ნახსენებ 2008 წლის 13 თებერვალს გამართულ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე, „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტის“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არანაირი სერიოზული შენიშვნა 9 თებერვლის ტყითსარგებლობის გეგმების განხილვაზე არ ყოფილა გამოთქმული, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტები იყო „შუალედური გეგმები“ (ასეთ ცნებას ჩვენი კანონმდებლობა არ იცნობს). იმედი გვაქვს, ეს მხოლოდ ლიცენზიანტის თვალსაზრისია და არც სამინისტროს და არც სატყეო დეპარტამენტს არ შეუცვლიათ განხილვაზე გამოთქმული პოზიცია, ბოლომდე გამოიჩინენ პრინციპულობას და მიჰყვებიან „ტყით სარგებლობის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ პროცედურას, რომელიც გულისხმობს ნაკლოვან ტყითსარგებლობის გეგმებისათვის უარყოფითი დასკვნის დაწერას და ლიცენზიანტისათვის გადასამუშავებლად უკან დაბრუნებას.

ასევე იმედი გვაქვს, რომ წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც სამინისტროს მოწყობილი საჯარო განხილვები ფორმალურ ხასიათს ატარებდა და საკითხების გადაწყვეტა ხდებოდა პირადი კონტაქტების გამოყენებით ლობირების ხარჯზე.

ბატონო გოგა, გთხოვთ პირად კონტროლზე აიყვანოთ აღნიშნული საკითხი და ზემოთ მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, დააყენოთ სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო ლიცენზიის მფლობელთა პასუხისმგებლობისა და ლიცენზიების გაუქმების საკითხი;

გთხოვთ ასევე შეისწავლოთ, თუ რატომ არ განხორციელდა დღემდე ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიების მიღება-ჩაბარების პროცესი და რატომ არ მოხდა აქამდე რეაგირება ლიცენზიის მფლობელთა მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის ფაქტებზე, ამასთან დაკავშირებით დააყენოთ კონკრეტული პირობების პასუხისმგებლობის საკითხი და საზოგადოებას მიაწოდოთ ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ.

პატივისცემით,

ი. მაჭარაშვილი

ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი

დანართი: 4 გვ.: მწვანე ალტერნატივას განცხადება № 04/05-76; 8 სექტემბერი 2008

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების მინისტრს ბატონ ირაკლი ღვალამეს**

ბატონო ირაკლი,

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ინფორმაცია 2007 წლის მაისში გაცემული ხანგრძლივადიანი ტყითსარგებლობის ლიცენზიების მფლობელების მიერ ლიცენზიის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. კერძოდ ლიცენზიის მფლობელების (შპს "ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტი", ლიცენზია №00628, შპს "საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანია", ლიცენზია №00624 და ფ/პ ემილ რეინირსი, ლიცენზია №00627). როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დღემდე მათ არ წარმოუდგენიათ ლიცენზიის პირობების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №203 დადგენილების „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ" მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხანგრძლივადიან ხე-ტყის დამზადების სპეციალურ ლიცენზიების მფლობელებზე, ამ დადგენილებით განსაზღვრული სალიცენზიო პირობები გავრცელდა 2008 წლის 1 იანვრიდან“. ეს ფაქტი არ ნიშნავს, რომ გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ლიცენზიის მფლობელებს („შპს "ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ", ფ/პ ემილ რეინირსს, და "შპს "საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანია"-ს) დღემდე არ უნდა წარმოედგინათ ლიცენზიით დაკისრებული ზოგიერთი პირობის შესრულების ანგარიში.

ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს:

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №203 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე გაცემულ ხანგრძლივადიან ხე-ტყის დამზადების სპეციალურ ლიცენზიებზე, ცხოველთა სამყაროს ობიექტების სარგებლობის ლიცენზიებსა და სამონადირეო მეურნეობის სპეციალურ ლიცენზიებზე ამ დადგენილებით განსაზღვრული სალიცენზიო პირობები გავრცელდეს 2008 წლის 1 იანვრიდან“.

მთავრობის ამ დადგენილების (№203, 24.09.2007) ძალაში შესვლამდე გაცემულ ხანგრძლივადიან ხე-ტყის დამზადების სპეციალურ ლიცენზიების სალიცენზიო პირობები განისაზღვრებოდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით. იქიდან გამომდინარე, რომ ამ დადგენილებით

განსაზღვრულია კონკრეტული ვადა - 2008 წლის 1 იანვარი, რომლიდანაც ვრცელდება ეს პირობები ზემოხსენებულ ლიცენზიებზე, ამ თარიღამდე (2008 წლის 1 იანვრამდე) უნდა გავრცელებულიყო ის სალიცენზიო პირობები, რომლებიც აღნიშნულია მინისტრის შესაბამის ბრძანებებში, კერძოდ: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №470 ბრძანებაში „შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ“-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №471 ბრძანებაში „ფ/პ ემილ რეინირსზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №472 ბრძანებაში „შპს „საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანია“-ზე გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“.

მინისტრის ამ ბრძანებებში აღნიშნულია, რომ ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია: „ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 1 წლის ვადაში წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამეურვეო საბჭოს (FSC) პრინციპების საფუძველზე შედგენილი მართვის გეგმა“. „მენეჯმენტის გეგმასთან ერთად წარმოადგინოს საერთაშორისო სამეურვეო საბჭოს (FSC) მიერ სერტიფიცირებული ორგანიზაციის მიერ მენეჯმენტის გეგმაზე გაცემული დასკვნა“. ანუ ეს გეგმა, რომელსაც ერთი და იგივე ბრძანებების ერთ მუხლში ეწოდება მართვის, ხოლო მეორეში მენეჯმენტის გეგმა, უნდა წარმოდგენილი ყოფილიყო 2008 წლის 4 მაისამდე.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №203 დადგენილებით, „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-8 მუხლი „სალიცენზიო პირობები“ ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, სადაც ლიცენზიის მფლობელთა მიერ წარმოსადგენ გეგმასთან დაკავშირებით განსაზღვრა განსხვავებული ვადები და მოთხოვნები, კერძოდ: „ე) ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 10 თვისა სამინისტროში დასამტკიცებლად წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი ტყით სარგებლობის გეგმა; ვ) ტყით სარგებლობის გეგმასთან ერთად წარადგინოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში აკრედიტებული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი ეკოაუდიტორული დასკვნა“;

ამრიგად, ამ რედაქციით (მთავრობის დადგენილებაში) მართვის/მენეჯმენტის გეგმას ეწოდება „ტყით სარგებლობის გეგმა“, რომელზეც დასკვნა უნდა გასცეს არა საერთაშორისო სამეურვეო საბჭოს (FSC) მიერ სერტიფიცირებულმა ორგანიზაციამ, არამედ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში აკრედიტებულმა შესაბამისმა ორგანიზაციამ. (რომელიც პრინციპში შესაძლებელია იყოს საერთაშორისო სამეურვეო საბჭოს (FSC) მიერ სერტიფიცირებული ორგანიზაცია). მთავრობის დადგენილების მიხედვით, ამ გეგმის წარმოდგენა უნდა მომხდარიყო ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 10 თვისა, ანუ არა უგვიანეს 2008 წლის 4 მარტისა, ვადებთან დაკავშირებით სხვა კონკრეტული თარიღი ან გამონაკლისი არ არის ამ დებულებაში, რომელიც იტყოდა, რომ ამ კონკრეტული ლიცენზიებისთვის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს სხვა თარიღიდან და არა 2007 წლის 3 მაისიდან. გარდა ამისა, ლიცენზიატებს დაუდგინდათ დროში გაწერილი სხვა ვალდებულებებიც (სალიცენზიო პირობები), კერძოდ:

„ა) ლიცენზიის მიღებიდან 1 თვის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში კანონიერი და უკანონო ჭრის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე გადააბაროს ეს ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტით;“

ვინაიდან მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებულ ლიცენზიატების ვალდებულებებში (სალიცენზიო პირობებში) მსგავსი საკითხი არ არსებობდა, ამ ვალდებულების ათვლა უნდა დაწყებულიყო 2008 წლის 1 იანვარს და შესრულებული ყოფილიყო 2008 წლის 1 თებერვლამდე, ამასანვე ამ დადგენილების მე-5 მუხლში პირდაპირაა მითითებული: „ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე გაცემული ხე-ტყის დამზადების ხანგრძლივადიანი სპეციალური ლიცენზიების მფლობელებმა 2008 წლის 1 თებერვლამდე უზრუნველყონ ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში კანონიერი და უკანონო ჭრის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე ამ ტერიტორიის გადაბარება (მიღება-ჩაბარების აქტით) საკვარტალე სქემის მიხედვით“. რამდენად შესაძლებელია ზამთარში მთიან ტერიტორიაზე ტყის ფართობების მიღება-ჩაბარების პრაქტიკულად განხორციელება, ეს სხვა საკითხია, თუმცა ასეთი გარემოებები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დადგენილების შემუშავებისას.

შემდეგი სალიცენზიო პირობა, რომელიც დადგინდა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბერის № 203 დადგენილებით: „გ) ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 9 თვის ვადაში ჩაატაროს დეტალური ინვენტარიზაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;“

ზემოთ აღნიშნული შემთხვევის მსგავსად, ვადებთან დაკავშირებით სხვა თარიღი ან გამონაკლისი არ არის ამ დებულებაში, რომელიც იტყობა, რომ ამ კონკრეტული ლიცენზიებისთვის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს სხვა თარიღიდან და არა 2007 წლის 3 მაისიდან. ამრიგად, ეს პირობა უნდა შესრულებულიყო **2008 წლის 4 თებერვლამდე**.

ცვლილებები „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებაში“ შევიდა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის №64 დადგენილებით. თუმცა შინაარსობრივად არაფერი არ შეცვლილა ტყით სარგებლობის გეგმის, სრული ინვენტარიზაციის მასალების წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის თარიღებთან დაკავშირებით. თანაც ამ პერიოდისათვის ეს ყველაფერი უკვე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.

ამასთანავე, საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 21-ე მუხლის (კონტროლი სალიცენზიო პირობების შესრულებაზე) მე-3 პუნქტის შესაბამისად, „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ლიცენზიის მფლობელი ყოველწლიურად, 1 აპრილიდან 1 მაისამდე ახორციელებს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებას. ანგარიშგება ხდება ლიცენზიის გამცემისთვის წერილობით წარდგენით“. ამრიგად, ლიცენზიის მფლობელებს უნდა შეესრულებინათ კანონის ეს მოთხოვნაც. კანონის ეს მოთხოვნა ასახულია მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ სალიცენზიო პირობებში.

2008 წლის 26 ივნისს გამოიცა საქართველოს მთავრობის №140 დადგენილება „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №203 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე“. ამ დადგენილებით მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №203 დადგენილებას დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4¹ პუნქტი: „ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე გაცემული ხანგრძლივადიანი ხე-ტყის დამ-ზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელები ვალდებული არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2009 წლის 1 იანვრამდე წარუდგინონ დასამტკიცებლად ტყით სარგებლობის გეგმა.“

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხანგრძლივადიანი ტყითსარგებლობის ამ კონკრეტული ლიცენზიებისათვის ანგარიშგების ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო 2007 წლის 3 მაისიდან, და იმ ვადებში ჩატეულიყო, რომელზეც აღვნიშნავდით ზემოთ. ამასვე ადასტურებს საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის №203 დადგენილების მე-5 მუხლი.

ამრიგად, არსებობდა ყველანაირი საფუძველი იმისა, რომ შესაბამის უწყებებს დაეყენებინათ ლიცენზიატების პასუხისმგებლობის საკითხი სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობის გამო, ამ ლიცენზიების გაუქმების ჩათვლით.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 26 ივნისის №140 დადგენილებით ტყით სარგებლობის გეგმის წარმოდგენის გადავადება პოსტფაქტუმ ვერ გააბათილებს იმ დარღვევებს, რომელიც ერთი მხრივ ჩაიდინეს ლიცენზიის მფლობელებმა ტყით სარგებლობის გეგმის დადგენილ ვადაში და დადგენილი პირობების დაცვით წარმოუდგენლობის გამო, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფო უწყებებმა, რომლებმაც არ მოახდინეს რეაგირება 2008 წლის 4 მარტიდან 2008 წლის 26 ივნისამდე.

კიდევ ერთხელ თვალსაჩინოებისათვის ცხრილის სახით წარმოვადგენთ ლიცენზიის მფლობელთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტების ჩამონათვალს.

წარმოსადგენი დოკუმენტი	წარმოდგენის თარიღი	ნორმატიული აქტი
სალიცენზიო პირობების შესრულების წერილობითი	2008 1.04 - 1.05.	საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წ. 3 მაისის ბრძანებები №,470, №471, №472

ანგარიში		
მიღება-ჩაბარების აქტი	01.02.2008-მდე	საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბერი N 203 დადგენილება
დეტალური ინვენტარიზაციის მასალები	01.02.2008-მდე	საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბერი N 203 დადგენილება
მართვის გეგმა	04.05.2008-მდე	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წ. 3 მაისის ბრძანებები №470, №471, №472, რომლებიც ამ საკითხში გადაჯარა მთავრობის N 203 დადგენილებამ
ტყით სარგებლობის გეგმა	04.03.2008-მდე	საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბერი N 203 დადგენილება

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის 2008 წლის 17 მარტის №64 დადგენილების მიხედვით: „ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებასა და მათში ცვლილებების შეტანას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ დადგენილებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო“ (მუხლი 8²).

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის მიერ სახალხო დამცველის აპარატში გაგზავნილი წერილისა (17.06.2008, №13/01-19/1079) და მასზე თანდართული მასალების მიხედვით, ტყით სარგებლობის გეგმა წარმოდგენილი აქვს მხოლოდ „შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ“-ს. ამ გეგმას არ ახლავს არანაირი დასკვნა, არც საერთაშორისო სამეურვეო საბჭოს (FSC) მიერ სერტიფიცირებული ორგანიზაციის მიერ გაცემული და არც „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში აკრედიტებული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი ეკოაუდიტორული დასკვნა“. ამდენად, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ლიცენზიის პირობის შესრულებად.

ამავე წერილიდან ირკვევა, რომ არც ერთ ლიცენზიანტს არ აქვს შესრულებული შემდეგი ვალდებულება: „ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 9 თვის ვადაში ჩაატაროს დეტალური ინვენტარიზაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“

სამიდან მხოლოდ ორი ლიცენზიატი („შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ“ - სამეგრელოში და “შპს “საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანია” - კახეთში) ახლა ახორციელებს ტყის ინვენტარიზაციის წინა მოსამზადებელ სამუშაოებს. გაუგებარია, როგორ შექმნა „შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ“-მა მართვის გეგმა, თუ იგი არ ეყრდნობა ინვენტარიზაციის მონაცემებს. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ეჭვის ქვეშ აყენებს ამ დოკუმენტის რელევანტურობას. წერილიდან არ ჩანს რა საქმიანობას ეწევა ლიცენზიის პირობების შესასრულებლად მესამე მათგანი - ფ/პ ემილ რეინირსი.

ამრიგად, სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობის გამო, აქამდე უნდა დამდგარიყო „შპს „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრიალ დეველოპმენტ“-ზე, “შპს “საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანია”-ზე და ფ/პ ემილ რეინირსზე გაცემული ტყით სარგებლობის ხანგრძლივდანი ლიცენზიების გაუქმების საკითხი.

ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ეს ლიცენზიები გაცემულია კანონმდებლობის დარღვევით, ხოლო სალიცენზიო პირობები ვერ უზრუნველყოფენ ტყის ეკოსისტემების შენარჩუნებას. აღნიშნული დადასტურდა საქართველოს სახალხო დაცველის დასკვნაშიც. ჩვენ საჯაროდ ვამბობდით, სამინისტრო იძულებლი გახდებოდა ერთი წლის თავზე ან გაუქმებინა ლიცენზიები, ან თვალი დაეხუჭა პირობების დარღვევაზე. ამის პასუხად, სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები საჯაროდ აღნიშნავდნენ, რომ ჩატარებოდა მკაცრი კონტროლი ლიცენზიების პირობების შესრულებაზე და შეუსრულებლობის შემთხვევაში დააყენებდნენ საკითხს მათ გაუქმებაზე. მაგალითად, სატყეო დეპარტამენტის უფროსი ზვიად ჭიშვილი აღნიშნავდა 2007 წლის 1 მაისის გაზეთ „24 საათში“, რომ გარემოს დაცვის ინსპექცია ყოველ 6 თვეში შეამოწმებდა ლიცენზიატებს და დარღვევის შემთხვევაში დააყენებდა მათი გაუქმების საკითხს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა მიზეზებით არ მოხდა რეაგირება სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობაზე და რატომ მოხდა ამ ვითარებაში ერთ-ერთი პირობის (ტყით სარგებლობის გეგმის

მომზადება, რომელიც უნდა განხორციელებულიყო 2008 წლის 4 მარტამდე) შესრულების ვადის გაგრძელება 2009 წლის 1 იანვრამდე. გთხოვთ ასევე შეისწავლოთ, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობაზე სათანადო რეაგირების განუხორციელებლობის გამო და მოგვაწოდოთ ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ.

პატივისცემით,

ი. მაჭარაშვილი

ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი